საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 2733 2019 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის თავის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიეცეს თანხმობა, რათა მან მის ბალანსზე რიცხული, ქ. თბილისში, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა №51-ში მდებარე №2 შენობა-ნაგებობის II სართულზე არსებული 164.99 კვ. მ ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.16.05.009.005) უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში, 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის

31 დეკემბრის ჩათვლით, აუქციონის გარეშე, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, გადასცეს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“, შესაბამისი წლის „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამის „ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელების“ კომპონენტის ფარგლებში მომსახურების ცენტრის განსათავსებლად.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**